ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ74.74211613**

თარიღი:**10/06/2021**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 მარტის N47 346 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტისა და საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 მარტის N47 346 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ში და მე-7 პუნქტში მითითებული: *ობიექტის დასახელება: ტყიბულის მუნიციპალიტეტი. საწირის თემის სოფ. მანჭიორში მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, მისამართი: ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. მანჭიორი, საკადასტრო კოდი: 39.03.35.001, მიწის ფართობი : 102 კვ.მ, შენობა-ნაგებობის ფართობი: 112.4 კვ.მ,* ღირებულება განისაზღვროს : 18000 ლარით, პირობა: შენობის დემონტაჟი ან აღდგენა 2 წლის განმავლობაში.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ელექტრონულ აუქციონზე უძრავი ქონების პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

თემურ ჩუბინიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი